

პრობლემური ტრანზაქციების კვლევის ავტომატიზაცია

ნინო თოფურია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ეთერი გიუნაშვილი - საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტი

რეზიუმე

წარმოდგენილია პრობლემური ტრანზაქციების კვლევის ავტომატიზაციის გზები, მათი დამუშავების საშუალებები და ეტაპები, პრაქტიკული რეალიზაცია და შედეგები. პრობლემური ტრანზაქციების კვლევის ავტომატიზაციის პროცესი განხილულია სწრაფი ჩარიცხვების კომპანიის მაგალითზე. შესაბამისად, პრობლემური ტრანზაქციების კვლევისათვის საჭირო ეტაპების ავტომატიზაციის პროცესი და პრაქტიკული რეალიზაცია მორგებულია კომპანიის საქმიანობის თავისებურებებს, თუმცა შემოთავაზებული ავტომატიზაციის მოდელის ძირითადი იდეა დააკმაყოფილებს სხვა სფეროს მოთხოვნებსაც.

საკვანძო სიტყვები: პრობლემური ტრანზაქციები. ASP.NET. მონაცემთა ბაზები. Oracle. Microsoft SQL Server.

1. შესავალი


წინამდებარე ნაშრომში განხილულია საკითხი სწრაფი გადახდების კომპანიის პრობლემური ტრანზაქციების კვლევის ავტომატიზაციის შესახებ. თანამედროვე ცხოვრებაში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რაც შეიძლება მოკლე დროში, ეფექტურად შესრულდეს ესა თუ ის სამუშაო. სწრაფი გადახდის კომპანიაში ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დგას, რადგან კომპანია, საქმიანობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულადაა დაინტერესებული კლიენტს შეუქმნას მაქსიმალური კომფორტი და რაც შეიძლება დროულად იქნეს მოგვარებული პრობლემა. ამისათვის საჭიროა პრობლემური ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია სწრაფად და ორგანიზებულად მიიღონ შესაბამისმა სამსახურებმა, რომ მოახდინონ რეაგირება. პრობლემური ტრანზაქციების კვლევის ავტომატიზაციის მიზნით, გადაწყდა შექმნილიყო ისეთი პროგრამული პროდუქტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება კვლევაში ჩართული ყველა სამსახურისთვის საჭირო ინფორმაცია და ამ ინფორმაციასთან წვდომის უფლებები.

პრობლემური ტრანზაქციების კვლევის მენეჯმენტი გულისხმობს შემდეგს: მომხმარებლის განაცხადის საფუძველზე, შესაბამისი სამსახურები ჩაატარებენ მათთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით პრობლემის ანალიზს და გასცემენ შესაბამის დასკვნას. დასკვნის საფუძველზე მომხმარებლის მოთხოვნა დაკმაყოფილება ან უარყოფილ იქნება.

2. ძირითადი ნაწილი

ამოცანის პრაქტიკული რეალიზაციისთვის გამოყენებულია ASP.NET ტექნოლოგია (კლიენტის მხარის ინტერფეისი), ხოლო მონაცემთა ბაზები დაპროექტებულია ORACLE- და MS SQL Server-ის საშუალებით. ASP.NET გვერდები შედგება ორი ფაილისგან: პირველია, ვიზუალური გვერდი, სადაც განთავსებულია HTML კოდი და კომპონენტები; მეორე კი, კოდის ფაილი, სადაც მუშავდება ვებ-ბრაუზერის მომხმარებლის მიერ ინიცირებული სხვადასხვა შეტყობინებები და ბიზნეს ლოგიკის პროცედურები და ფუნქციები. ეს მეთოდი ცნობილია Codebehind-ის სახელწოდებით. ASP.NET-ში სტანდარტული კონტროლების გარდა, არის აგრეთვე სერვერული კონტროლებიც, რომლებიც საშუალებას იძლევა შემოწმდეს მომხმარებლის მიერ ვებ-გვერდზე შეტანილი მონაცემები. არსებობს სხვადასხვა ტიპის შემოწმების კონტროლები, როგორცაა მნიშვნელობის რაიმე განსაზღვრულ დიაპაზონში შემოწმება, განსაზღვრული შაბლონის მსგავსებაზე შემოწმება, აგრეთვე შემოწმება იმისა კონტროლში შეტანილია თუ არა მნიშვნელობა. არსებობს

სტანდარტულ ელემენტებს შორის მონაცემების გამოტანის და დამუშავების ელემენტებიც. ამ ელემენტების თვისება DataSource და მეთოდი DataBind უზრუნველყოფენ მონაცემთა მიბმას კონტროლებზე. DataSource თვისებას ენიჭება მონაცემთა კოლექცია, მაგალითად მონაცემთა მასივი (კლასის ობიექტი, რომელშიც რეალიზებულია DataReader ინტერფეისი), ან ობიექტი კლასისა DataSet. როდესაც მონაცემების წყარო მზად იქნება წასაკითხად, იძახებენ მეთოდს DataBind(). ამის შემდეგ ელემენტი კითხულობს მონაცემებს და გამოაქვს ეკრანზე გამოტანისთვის საჭირო ფორმატით. მონაცემების მიბმას უზრუნველყოფს სხვადასხვა ელემენტი, ისეთი როგორიცაა, მაგალითად ListBox, CheckBoxList, RadioButtonList, DropDownList და სპეციალური ელემენტები DataGrid, DataList DataRepeater. ამ ელემენტებზე შესაძლებელია .NET-ში აღწერილი კოლექციის კლასების ობიექტების მიბმა.



ნახ.1

პროექტისთვის საჭირო ცხრილები და მათ შორის კავშირები. იხილეთ ნახაზი 1.

პრობლემური ტრანზაქციების კვლევის ავტომატიზაციის მიზნით შეიქმნა რამდენიმე გვერდი კომპანიის შიდა მხარდაჭერის საიტზე.

პირველ რიგში მომხმარებელმა უნდა გაიაროს ავტორიზაცია. ავტორიზაციის წარმატებით დასრულების შემდეგ ჩაიტვირთება მენიუ, სადაც იქნება მხოლოდ იმ პუნქტების ჩამონათვალი, რომელზეც აქვს ამ კონკრეტულ მომხმარებელს ნახვის ან რედაქტირების უფლება. ავტორიზაციის გვერდს აქვს მე-2 ნახაზზე მოცემული სახე:

აღნიშნული პროექტის განხორციელება გადაწყდა უკვე არსებული კომპანიის შიდა მხარდაჭერის საიტის ბაზაზე, მენიუში დაემატა ახალი პუნქტი პრობლემების მენეჯმენტი, რომლის ქვეპუნქტებია: საინფორმაციო სამსახური, ანალიტიკა, ფინანსური სამსახური და დასრულებული პრობლემები. ინფორმაციის შეყვანის შემდეგ ძეგნის ლილაკის საშუალებით

მოიძებნება მონაცემთა ბაზაში საჭირო ტრანზაქცია და გამოიტანება შესაბამისი ინფორმაცია.

Nova Technology

მომხმარებელი:

პაროლი:

ნახ.2

ლილაკი „შენახვა“ საშუალებას იძლევა შევსებული ინფორმაცია გადაეზაფნოს ანალიტიკურ დეპარტამენტს. საინფორმაციო სამსახურის გვერდი მოცემულია მე-3 ნახაზზე. აღნიშნულ გვერდზე მოცემულია

ჩანაწერები პრობლემური ტრანზაქციების კვლევის შედეგების შესახებ (დადებითია, უარყოფითი თუ კვლევის პროცესშია).

საინფორმაციო სამსახური									
დაფიქსირებისთვის გადაიტანეთ გამოყოფილი სათაური									
ახალი პრობლემა <input type="checkbox"/> განახლება <input type="checkbox"/>									
	თანხა	პრეტენზიის თარიღი	პროდუქტი	აბონენტის ნომერი	ფეიბოქსი	ტრანზაქციის თარიღი	კომენტარი	ანალიტიკის დასკვნა	ფინანსური დასკვნა
<input type="checkbox"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>
<input type="checkbox"/>	2	3/19/2011 12:00:00 AM	GLC	1,1,016,24,33,19,4	NOVA8140	3/19/2011 1:31:58 PM	GASAJQMEBELI BILETI	უკუბი	
<input type="checkbox"/>	20	3/28/2011 3:23:00 PM	SikNet Georgia	32183916	NOVA8213	3/23/2011 4:25:52 PM	ლუბი ვარ მობტე	უკუბი	
<input type="checkbox"/>	2	3/25/2011 12:00:00 AM	GLC	1,1,023,29,25,31	NOVA8121	3/25/2011 10:50:15 AM	GASAJQMEBELI ვაუშნული	დადებითი	

ნახ.3

რედაქტირების ლილაკის საშუალებით გამოიტანება შემდეგი ფორმა, რომელზეც ანალიტიკოსი აფიქსირებს დასკვნას და გადასცემს საინფორმაციო ან ფინანსურ სამსახურს. იხილეთ მე-4 ნახაზი.

ძირითადი ინფორმაცია	საცდელი ტრანზაქციის განხორციელება	ფინანსური
სახელი <input type="text"/>	პროდუქტი <input type="text" value="AdiPay10"/>	დასკვნა
გვარი <input type="text"/>	აბონენტის ნომერი <input type="text" value="6125"/>	ტრანზაქციების რაოდენობა
პირადი ნომერი <input type="text"/>	ფეიბოქსის ნომერი <input type="text" value="NOVA8081"/>	გადახდების ფაზა
თანხა <input type="text" value="50"/>	ფეიბოქსის მისამართი <input type="text"/>	რამდენ თანხაზე ეძლევა დასკვნა
საკონტაქტო ინფორმაცია <input type="text" value="583370439"/>	ტრანზაქციის თარიღი <input type="text" value="07/06/2011 12:31:39"/>	
პრეტენზია <input type="text" value="Preferent1"/>	დაფიქსირებული თანხა <input type="text" value="0 ლარი"/>	
პრეტენზიის შემოს. თარიღი <input type="text" value="07/06/2011 00:00:00"/>	სტატუსი <input type="text" value="ფარმარტობული"/>	
	ტრანზაქციის ტიპი <input type="text"/>	
	ნომრის შემოწმება <input type="text"/>	

ნახ.4

3. დასკვნა

პრობლემური ტრანზაქციების კვლევის ავტომატიზაციის აღნიშნული მოდელის კომპანიაში დანერგვის შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა კვლევისთვის საჭირო დრო და სრულად აღმოიფხვრა ინფორმაციის დაკარგვა შესაბამის სამსახურებს შორის. ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა მექანიკური ხარვეზები პრობლემის გაფორმების პროცესში. აღნიშნული პროდუქტი მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცა ზემდგომი სამსახურებისთვის პრობლემური ტრანზაქციების კვლევის მენეჯმენტისა და კონტროლის განსახორციელებლად.

ლიტერატურა:

1. სურგულაძე გ., ბულია ი., თურქია ე. Web- აპლიკაციების აგება ASP.NET & C# პაკეტების საფუძველზე. სტუ. თბილისი. 2009
2. სურგულაძე გ. .NET ტექნოლოგია (შესავალი, C#.NET ADO.NET). სტუ. თბილისი. 2007
3. MacDonald M., Freeman A., Szpuszta M. Pro ASP.NET 4 in C# 2010. 4th Edition. 2010
4. Shepherd G. ASP.NET 3.5(Step By Step). 2008
5. Thomsen C. Database Programming with C#. 2002

PROBLEMATIC TRANSACTIONS RESEARCH MANAGEMENT

Topuria Nino - Georgian Technical University
Giunashvili Eteri - St. Andrew's University,
Georgian Patriarchate

Summary

This paper deals the methods of automation for research of problematic transactions, tools and stages of their development, implementation and practical results. The process automation research for problematic transactions is an example of the rapid enrollment of the company. Consequently, the problematic transactions necessary for the research stages of the automation process and the practical realization of the company's activities are tailored to the specifics, but this idea was proposed by the automation model to meet the demands of the other fields as well.

АВТОМАТИЗАЦИЯ ИССЛЕДОВАНИЙ ПРОБЛЕМНЫХ ТРАНЗАКЦИЙ

Топурия Н. - Грузинский Технический Университет
Гиунашвили Е. - Университет им. Андрея Первозванного, Грузинская
Патриархия

Резюме

Рассматриваются способы автоматизации для исследования проблематичных транзакций, средства и этапы их разработки, практическая реализация и результаты. Исследование автоматизации процесса для проблематичных транзакций рассматривается на примере компании быстрого зачисления. Соответственно, процесс автоматизации для исследования необходимых этапов проблематичных транзакций, а также практическая реализация, адаптируются в соответствии со специфическими особенностями компании, хотя предложенная идея автоматизации модели также удовлетворит требования других областей.